დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №14-57

2010 წლის 30 სექტემბერი

ქ. დმანისი

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის შემოღებისა და გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესის დამტკიცების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ო" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის" საფუძველზე დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. შემოღებულ იქნეს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა.
2. დამტკიცდეს „დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი" (დანართი №1).
3. დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის პირობები (დანართი 2).
4. დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის ფორმა (დანართი 3).
5. დამტკიცდეს ნებართვის გამცემის მიერ სანებართვო მოწმობის შევსებისა და მისი გადაცემის წესი (დანართი 4).
6. დამტკიცდეს გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობის წარმოებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი (დანართი 5).
7. ეს დადგენილება ვრცელდება ქ. დმანისის ტერიტორიაზე და დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამავალ სახელმწიფო მნიშვნელობის გზებზე.
8. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ბ. მგელაძე

შეტანილი ცვლილებები:

1. დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ნოემბრის დადგენილება №16-60- სსმ V, №49 11.11.2010 წ., მუხ.1442

დანართი №1

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესი

თავი I

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ეს დებულება შემუშავებულია „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად და განსაზღვრავს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მიღების წესს.
2. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა გაიცემა აუქციონის ფორმით და მისი მიზანია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა მიანიჭოს იმ ნებართვის მაძიებელს, რომელიც აიღებს ვალდებულებას, დააკმაყოფილოს გამოცხადებული პირობები და ვაჭრობის პროცესში ნებართვის გამცემს ყველაზე მაღალ ფასს შესთავაზებს.
3. ფიზიკური ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ორგანიზებული წარმონაქმნის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ან სხვა ქონებაზე გარე რეკლამის განთავსება არ საჭიროებს გარე რეკლამის განთავსების ნებართვას.

4. ამ წესის შესაბამისად მიღებული გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფუძველზე, სარეკლამო საშუალების განთავსების საკითხები რეგულირდება მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

5. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განსაზღვროს გარე რეკლამის საშუალებების განთავსების ადგილები.

6. ნებართვის მაძიებლად მიიჩნევა და აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს საქართველოს ან უცხო ქვეყნის ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ამ პირთა გაერთიანებას.

7. აუქციონზე გამოტანილია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ უძრავ ნივთებზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ერთ ლოტად.

8. აუქციონზე ლოტის საწყისი ფასი განისაზღვრება ნებართვის გამცემის მიერ საბაზრო ფასებიდან გამომდინარე.

9. (ამოღებულია - 01.11.10 №16-60).

10. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფასურს ნებართვის მფლობელი იხდის სანებართვო პირობებით გათვალისწინებულ ვადაში და დადგენილი წესით.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ნოემბრის დადგენილება №16-60- სსმ V, №49 11.11.2010 წ., მუხ.1442

მუხლი 2. აუქციონის გამართვის უფლებამოსილი ორგანო

1. აუქციონი ცხადდება და სანებართვო პირობები დგინდება ნებართვის გამცემის ინიციატივით.

2. გარე რეკლამის განთავსების ნებართვის მოქმედების ვადა განისაზღვრება 2 წლის ვადით.

3. ნებართვის გამცემს შეუძლია აუქციონის ორგანიზატორის ფუნქციები შეასრულოს უშუალოდ ან იმოქმედოს წარმომადგენლის ან შუამავლის მეშვეობით, რომელსაც ნებართვის გამცემის მიერ მინიჭებული ექნება სათანადო უფლებამოსილება.

4. აუქციონის ჩატარებამდე ინფორმაცია აუქციონში მონაწილეთა შესახებ (მათ შორის, აუქციონში მონაწილეთა რაოდენობის შესახებ) კონფიდენციალურია.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ნოემბრის დადგენილება №16-60- სსმ V, №49 11.11.2010 წ., მუხ.1442

თავი II
აუქციონის ორგანიზება, მისი პირობები და ჩატარების წესი

მუხლი 3. აუქციონის ორგანიზება

1. აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს ნებართვის გამცემი.

2. იმ შემთხვევაში, როცა ნებართვის გამცემი აუქციონის ორგანიზატორის ფუნქციებს გადასცემს წარმომადგენელს ან შუამავალს, მათ შორის იდება ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებული უნდა იყოს:

ა) ლოტის (ლოტების) საწყისი ფასი;

ბ) აუქციონის ჩატარების ვადა;

გ) წარმომადგენელის ან შუამავლისათვის ავანსის ან/და საკომისიო ანაზღაურების ოდენობა და მისი გაცემის წესი;

დ) ურთიერთვალდებულებანი და მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისათვის;

ე) სხვა ინფორმაცია ნებართვის გამცემის შეხედულებისამებრ.

3. ნებართვის გამცემი უზრუნველყოფს ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოში, აგრეთვე შეხედულებისამებრ სხვა საინფორმაციო საშუალებებში აუქციონის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას.

4. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია გადაავადოს აუქციონის ჩატარება, რის შესახებაც ინფორმაცია ქვეყნდება ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;

5. გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

ა) ნებართვის გამცემის დასახელებას;

ბ) პირობებს და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებს;

გ) აუქციონზე გამოტანილი ლოტის დასახელებას (აღწერას) და საწყის ფასს, რომელზედაც გაიცემა გარე რეკლამის განთავსების ნებართვა;

დ) ნებართვის მფლობელისათვის ნებართვის გადაცემის ვადას;

ე) განაცხადის მიღების დაწყების, დამთავრებისა და აუქციონის ჩატარების თარიღს;

ვ) ბეს, ბიჯის სიდიდეს და აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასს, რომლის ოდენობას განსაზღვრავს ნებართვის გამცემი;

ზ) განაცხადის მიღების ადგილს (მისამართი) და საკონტაქტო ტელეფონს;

თ) ყველა სხვა ინფორმაციას, რომელსაც ნებართვის გამცემი ჩათვლის მიზანშეწონილად.

6. ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს მიიღოს აუქციონზე გამოტანილი ლოტის შესახებ ნებართვის გამცემის ხელთ არსებული, კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ინფორმაცია.

7. ნებართვის გამცემი აუქციონის ორგანიზების მიზნით ქმნის სააუქციონო კომისიას, რომელშიც შედიან კომისიის თავმჯდომარე, აუქციონატორი, რეგისტრატორი, კომისიის მდივანი და სააუქციონო კომისიის წევრები. აღნიშნული კომისია ადგენს აუქციონში გამარჯვებულის დამადასტურებელ ოქმს.

მუხლი 4. აუქციონში მონაწილეობის პირობები

1. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მთავრდება დადგენილ დღესა და საათს. დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ შემოსული განაცხადი არ მიიღება.

2. აუქციონი ტარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით და ნებართვის გამცემის მიერ დადგენილ საათამდე. იმ შემთხვევაში, როდესაც ოცდამეათე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განაცხადების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს, იმავე საათზე.

3. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი (შემდგომში – მონაწილე) აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მონაწილეზე, აუქციონზე გამოტანილი ლოტის დასახელებას და მონაწილის თანხმობას ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი პირობების შესრულებაზე;

ბ) ბეს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთის და ბე საფასურის გადახდა უნდა მოხდეს ნებართვის გამცემის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიალურად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა ფიზიკური პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისთვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (არასამეწარმეო იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისათვის).

4. თუ ყველა წარმოდგენილი დოკუმენტი აკმაყოფილებს მოთხოვნებს, რეგისტრატორი მონაწილეზე აკეთებს შესაბამის ჩანაწერს „აუქციონის მონაწილეთა რეგისტრაციის ჟურნალში“, იტოვებს წარმოდგენილ დოკუმენტაციას და მონაწილეს გადასცემს აუქციონში მონაწილის ბილეთს. მონაწილის ბილეთით მონაწილე ღებულობს აუქციონში მონაწილის სტატუსს.

5. მონაწილეს უფლება აქვს ბეს დაუკავებლად უარი აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადოს მხოლოდ განაცხადების მიღების პერიოდში.

6. მონაწილეს შეიძლება უარი ეთქვას აუქციონში მონაწილეობაზე, თუ:

ა) განაცხადის წარმომდგენი პირი, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ შეიძლება ცნობილ იქნეს ნებართვის მაძიებლად;

ბ) დარღვეულია ამ მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტის მოთხოვნები.

მუხლი 5. აუქციონის ჩატარების წესი

1. აუქციონში მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

2. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.

3. აუქციონს ატარებს აუქციონატორი.

4. ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს ლოტის დასახელებას, მის საწყის ფასს და ბიჯს.

5. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი ფასის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

6. აუქციონში მონაწილე, რომელსაც სურს საწყისი ფასიდან დაიწყოს ვაჭრობა, სწევს თავის დაფას (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას). აუქციონატორი აფიქსირებს მას და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს, გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადებისა და აუქციონატორის მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ გარე რეკლამის ნებართვა ითვლება გაცემულად იმ აუქციონის მონაწილეზე, ვინც აუქციონატორს ყველაზე მაღალი ფასი შესთავაზა.

7. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი ბე არ დაუბრუნდება.

8. თუ აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს შეტანილი ბე არ დაუბრუნდებათ.

9. სააუქციონო კომისია აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს, უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი ბეს ოდენობა. მოხსენებით ბარათს ხელს აწერს საუქციონო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

მუხლი 6. აუქციონის ჩატარების წესი, სადაც შესაძლებელია შეთავაზებულ იქნეს გამოცხადებულზე დაბალი ფასი

1. თუ არ მოხდა აუქციონზე გამოტანილი ლოტის გაცემა, გარე რეკლამის განთავსების ნებართვა შეიძლება გატანილ იქნეს აუქციონზე, სადაც შესაძლებელი იქნება შეთავაზებულ იქნეს გამოცხადებულზე დაბალი ფასი.

2. აუქციონში მონაწილე აუქციონის დაწყებამდე შედის დარბაზში, სადაც ტარდება აუქციონი, აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს აუქციონში მონაწილის ბილეთს და იღებს სპეციალურ დაფას, რომლის ნომერიც შეესაბამება მის ბილეთზე აღნიშნულ ნომერს.

3. აუქციონატორი ადარებს გაცემული ნომრიანი დაფების რაოდენობას შემოსული განაცხადების რაოდენობასთან, რითაც აზუსტებს აუქციონში მონაწილეთა რაოდენობას.

4. აუქციონს ატარებს აუქციონატორი.

5. ვაჭრობის დაწყებისას აუქციონატორი აცხადებს აუქციონზე გამოტანილი ლოტის დასახელებას, მის საწყის ფასს, მინიმალური გასაყიდი ფასის ოდენობას (რომელიც წინასწარ არის დადგენილი ნებართვის გამცემის მიერ) და ბიჯს.

6. აუქციონზე ვაჭრობის დასაწყისად ითვლება საწყისი ფასის და მინიმალური გასაყიდი ფასის გამოცხადების მომენტი. ვაჭრობის მიმდინარეობის დროს დაუშვებელია მონაწილეთა დარბაზში გადაადგილება.

7. აუქციონში მონაწილეს, რომელსაც სურს შეისყიდოს საწყის ფასად ლოტი სწევს მონაწილის დაფას (რაც ნიშნავს საწყის ფასზე ბიჯის დამატებას), ხოლო თუ არც ერთი მონაწილის მიერ არ იქნა აწეული მონაწილის დაფა, აუქციონატორი საწყის გასაყიდ ფასს აკლებს დადგენილი ბიჯის ოდენობას და აცხადებს კლებადობის შესაბამისად გასაყიდ ფასს. ბიჯის კლებადობა გრძელდება მანამ, სანამ ერთ-ერთი მონაწილის მიერ არ იქნება მონაწილის დაფა აწეული ან გასაყიდი ფასი არ დავა მინიმალური გასაყიდი ფასის ოდენობამდე.

8. იმ შემთხვევაში, თუ ბიჯის კლებადობის დროს ერთ-ერთი მონაწილის მიერ აწეულ იქნა მონაწილის დაფა (რაც ნიშნავს გამოცხადებულ ფასზე ბიჯის დამატებას), აუქციონატორი აფიქსირებს მას, როგორც გასაყიდ ფასს და სთხოვს აუქციონში მონაწილეებს, გააგრძელონ ვაჭრობა, სანამ რომელიმე არ დაასახელებს ყველაზე მაღალ ფასს. ფასის სამჯერ გამოცხადების და აუქციონატორის

მიერ ჩაქუჩის დარტყმის შემდეგ აუქციონზე გამოტანილი ლოტი ითვლება გაყიდულად იმ აუქციონის მონაწილეზე, ვინც ყველაზე მაღალი ფასი დაასახელა.

9. თუ აუქციონში გამარჯვებული პირი უარს განაცხადებს აუქციონის შედეგების ოქმის ხელმოწერაზე, მას ჩამოერთმევა აუქციონში გამარჯვებულის სტატუსი და შეტანილი ბე არ დაუბრუნდება.

10. თუ აუქციონი არ შედგება იმ მიზეზით, რომ აუქციონის მონაწილეები, რომლებიც ესწრებიან აუქციონს, არ მიიღებენ მონაწილეობას სააუქციონო ვაჭრობაში, შედგება ოქმი არშემდგარი აუქციონის შესახებ და აუქციონის მონაწილეებს შეტანილი ბე არ დაუბრუნდებათ.

11. სააუქციონო კომისია აუქციონის ჩატარებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში ამზადებს მოხსენებით ბარათს, რომლის საფუძველზეც აუქციონში მონაწილე პირებს, რომლებმაც ვერ გაიმარჯვეს, უბრუნდებათ მათ მიერ გადახდილი ბეს ოდენობა. მოხსენებით ბარათს ხელს აწერს სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და კომისიის მდივანი.

თავი III
ოქმის გაფორმების წესი. კონტროლი სანებართვოს პირობების შესრულებაზე და ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა

მუხლი 7. ოქმის გაფორმების წესი

1. ოქმში დაფიქსირებული უნდა იყოს აუქციონში გამარჯვებულის მონაცემები.
2. აუქციონში გამარჯვებულ პირს ბე ეთვლება ანგარიშსწორებისას.
3. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა დადგენილი სანებართვო ფორმის სახით ნებართვის გამცემის მიერ ნებართვის მფლობელს გადაეცემა ოქმის ხელმოწერის მომენტისთანავე, ხოლო სანებართვო ფორმის მეორე ეგზემპლარი რჩება ნებართვის გამცემს.

მუხლი 8. კონტროლი სანებართვოს პირობების შესრულებაზე და ნებართვის მფლობელის პასუხისმგებლობა

1. კონტროლი სანებართვოს პირობების შესრულებაზე ნებართვის გამცემის მიერ ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. გარე რეკლამის განთავსების სანებართვო პირობების დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობას არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

დანართი №2

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემის პირობები

1. აუქციონზე გამოტანილია დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ერთ ლოტად.
2. აუქციონზე გამარჯვებული (ნებართვის მფლობელი) გამოვლინდება აუქციონზე ყველაზე მაღალი ფასის დაფიქსირების შედეგად.
3. გარე რეკლამის განთავსების ნებართვა ნებართვის მფლობელზე გაიცეს 2 წლის ვადით. აღნიშნული ვადის დინება დაიწყება ნებართვის მფლობელისათვის სანებართვო მოწმობის გადაცემის დღიდან.
4. აუქციონზე გამოტანილი ლოტის საწყისი ფასი განისაზღვროს ნებართვის მფლობელის მიერ, არსებული საბაზრო ფასებიდან გამომდინარე.
5. ნებართვის გამცემს უფლება აქვს, ნებართვის მფლობელის მიერ საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მიღებული შემოსავლის ოდენობის დადგენის მიზნით, მოითხოვოს შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენა.
6. ნებართვის გამცემი უფლებამოსილია განახორციელოს გარე რეკლამის განთავსების საფასურის საფასურის გადახედვა 6 თვეში ერთხელ, საბაზრო ფასის ცვლილებების გათვალისწინებით.
7. ნებართვის მფლობელი ნებართვის საფასურს გადაიხდის სამ თვეში ერთხელ, საანგარიშგებო პერიოდის მესამე თვის მომდევნო 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, ნებართვის გამცემის მიერ

მითითებულ საბანკო ანგარიშზე. საანგარიშო პერიოდის ათვლა იწყება ნებართვის მფლობელის მიერ პირველი სარეკლამო საშუალების/საშუალებების განთავსების დღიდან;

8. აუქციონში მონაწილეთათვის განისაზღვროს:

ა) ბე სიდიდე თითოეულ ლოტზე საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით;

ბ) ბიჯის სიდიდე თითოეულ ლოტზე საწყისი ფასის 10%-ით;

გ) აუქციონში მონაწილის ბილეთის ფასი 20 ლარის ოდენობით.

9. განაცხადების წარმოდგენის ადგილია დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. №41.

10. აუქციონში მონაწილეობაზე განაცხადების მიღება მიმდინარეობს აუქციონის ჩატარების დღის ჩათვლით, 12<u>00</u> სთ-მდე;

11. აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველი აუქციონის რეგისტრატორს წარუდგენს:

ა) განაცხადს, რომელიც შედგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და უნდა შეიცავდეს:

ა.ა ინფორმაციას მონაწილეზე (მისი ვინაობა, მისამართი);

ა.ბ. აუქციონზე გამოტანილი ლოტის დასახელებას და მონაწილის თანხმობას ნებართვის გამცემის მიერ დადგენილი პირობების შესრულებაზე;

ა.გ. განაცხადის წარდგენის თარიღსა და განმცხადებლის ხელმოწერას.

ბ) ბეს და მონაწილის ბილეთის საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს (ბილეთის და ბეს გადახდა უნდა მოხდეს ნებართვის გამცემის მიერ მითითებულ ანგარიშზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლს (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა ფიზიკური პირის სახელით;

ე) სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლებს და განაცხადის შეტანის მომენტისათვის მოქმედ ამონაწერს სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში), ამონაწერს მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (არასამეწარმეო იურიდიული პირის და უცხო ქვეყნის არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისათვის).

12. აუქციონის დღე განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით.

13. აუქციონის გამართვის ადგილი: ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ.№41.

14. მონაწილე ვალდებულია აუქციონის და მისი წინამოსამზადებელი სამუშაოების მსვლელობისას დაიცვას ეთიკის ნორმები.

15. კომისიაში გაყალბებული დოკუმენტის წარმოდგენა ან მონაწილის მხრიდან ჩადენილი არაკეთილსინდისიერი ქმედება გახდება მონაწილის აუქციონიდან მოხსნის საფუძველი.

16. წარმოდგენილ დოკუმენტებში დაშვებული ტექნიკური ხასიათის შენიშვნებზე იმსჯელებს კომისია და გადაწყვეტს, შეიძლება თუ არა ის გახდეს მონაწილის აუქციონიდან მოხსნის საფუძველი.

17. ამ პირობების მე-14 და მე-15 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მონაწილის აუქციონიდან მოხსნის გადაწყეტილებას კომისია იღებს წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერს სააუქციონო კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

18. აუქციონის შედეგად მიღებული გარე რეკლამის განთავსების ნებართვის საფუძველზე სარეკლამო საშუალების განთავსების საკითხები რეგულირდება მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

19. ნებართვის მაძიებელს უფლება აქვს მიიღოს აუქციონზე გამოტანილი ლოტის შესახებ ნებართვის გამცემის ხელთ არსებული, კანონმდებლობით დაშვებული ნებისმიერი ინფორმაცია.

20. ნებართვის მფლობელს ეკისრება ვალდებულება განახორციელოს გარე რეკლამის საშუალებების მოვლა-პატრონობა და სწორი ექსპლუატაცია.

დანართი №3

საქართველო
დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო

Local Council (Sakrebulo) of Dmanisi Municipality

1700 ქ. დმანისი, წმინდა ნინოს ქ. 41 — 41, Tsminda Nino Street, 1700 Dmanisi town, Georgia
ტელ.: 8 (260) 2-24-24, 2-16-40 — Tel.: +995 (260) 2-24-24, 2-16-40
ფაქსი: 8 (260) 2-16-40 — Fax: 8 (260) 2-16-40

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე
გარე რეკლამის განთავსების სანებართვო მოწმობა
ნ ე ბ ა რ თ ვ ა №

ეძლევა _____

ნებართვის მიმღები და მისი მისამართი

_____
_____
_____

საფუძველი ----------

_____

ნებართვის მოქმედების ვადა

_____ -დან
_____ -მდე

ნებართვა შედგენილია ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი გადაეცემა ნებართვის მიმღებს, ხოლო მეორე ეგზემპლარი ინახება ნებართვის გამცემთან..

შენიშვნა: სანებართვო პირობები წარმოადგენს ნებართვის განუყოფელ ნაწილს.

ნებართვის მიმღები — საკრებულოს თავმჯდომარე

ბეჭდის ადგილი

ნებართვა გაცემულია 2010 წლის _____

სანებართვო პირობები

_____
_____
_____
_____
_____
_____

_____
_____
_____
_____

დანართი №4

ნებართვის გამცემის მიერ სანებართვო მოწმობის შევსებისა და მისი გადაცემის წესი

მუხლი 1

ეს წესი განსაზღვრავს სანებართვო მოწმობის შევსებისა და მისი ნებართვის მფლობელისათვის გადაცემის სამართლებრივ მექანიზმებს.

მუხლი 2

სანებართვო მოწმობა (დანართი №3) შევსებული სახით ნებართვის გამცემის მიერ ნებართვის მფლობელს გადაეცემა ოქმის ხელმოწერისთანავე, ხოლო მისი მეორე ეგზემპლარი რჩება ნებართვის გამცემს.

მუხლი 3

1. სანებართვო მოწმობის ფორმა (დანართი №3) ივსება საუქციონო კომისიის თავმჯდომარის მიერ ლურჯი ან შავი ბურთულიანი საწერი კალმით.

2. სანებართვო მოწმობის შევსებისას მასში აღინიშნება:

ა) ნებართვის მიმღები და მისი მისამართი;

ბ) ნებართვის მიღების საფუძველი;

გ) ნებართვის მოქმედების ვადა;

დ) ნებართვის გაცემის თარიღი და წელი;

ე) სანებართვო პირობები.

2. სანებართვო მოწმობას ხელს აწერს ნებართვის მიმღები და საკრებულოს თავმჯდომარე.

3. სანებართვო მოწმობა საკრებულოს თავმჯომარის მიერ მოწმდება ბეჭდით.

4. უფლებამოსილ სამსახურს შესაბამისი მონაცემები "ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად შეაქვს დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე რეკლამის განთავსების სანებართვო რეესტრში .

დანართი №5

სანებართვო მოწმობის წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესი

მუხლი 1 ზოგადი დებულებები

1. ეს წესი განსაზღვრავს სანებართვოს მოწმობის წარმოების და აღრიცხვა-ანგარიშგების წესს.

2. სანებართვო მოწმობის წარმოება და აღრიცხვა-ანგარიშგება ხორციელდება "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის საფუძველზე.

მუხლი 2 სანებართვო მოწმობის დამზადება და დამცავი ნიშნები

1. სანებართვო მოწმობა მზადდება დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს (შემდგომში – სამართალსუბიექტი) შეკვეთის საფუძველზე, "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

2. სანებართვო მოწმობებით მომარაგებას სამართალსუბიექტი ახორციელებს დამოუკიდებლად.

3. სანებართვო მოწმობის ბოლო გვერდის უკანა კუთხეში დაიტანება სანებართვო მოწმობის დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს, დამკვეთის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელწოდება ინიციალებით, რეგისტრაციის ნომერი და სანებართვო მოწმობის ფორმის ინდივიდუალური ნომერი (არანაკლებ 6 ციფრი).

4. სანებართვო მოწმობის დამცავ ნიშნად გამოყენებულ იქნეს დმანისის მუნიციპალიტეტის გერბი მკრთალ ფერში, გამოსახული სანებართვო მოწმობის ბლანკის მთლიან ფონზე.

5. დამზადებული სანებართვო მოწმობის ბლანკების პოლიგრაფიული საწარმოდან გამოტანის უფლება აქვს პირს, რომელსაც გააჩნია სამართალსუბიექტის მიერ გაცემული სათანადო მინდობილობა.

მუხლი 3. სანებართვო მოწმობის შეუვსებელი ფორმების შენახვა

1. სანებართვო მოწმობის შეუვსებელი ფორმების შენახვა ხორციელდება "მკაცრი აღრიცხვის ფორმების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. სანებართვო მოწმობის შეუვსებელი ფორმები უნდა ინახებოდეს ცეცხლგამძლე სეიფში, ამასთანავე, უნდა იყოს ხელშეუხებელი გარეშე პირთათვის და დაცული დაზიანებისაგან.

3. სანებართვო მოწმობის შეუვსებელი ფორმები ინახება ამ ფორმების გამოყენებასა და აღრიცხვა-ანგარიშგებაზე სამართალსუბიექტის მიერ განსაზღვრულ პასუხისმგებელ პირთან.

მუხლი 4. სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალი

1. სანებართვო მოწმობის ფორმების მიღებაზე და შემდგომ მის განაწილებაზე პასუხისმგებელი პირები თავის მხრივ ვალდებულნი არიან სანებართვო მოწმობის ფორმების გაცემა აღრიცხონ ზონარგაყრილ, ბეჭედდარტყმულ, დანომრილ და სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებულ სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალში.

2. სანებართვო მოწმობა, მისი შედგენიდან არა უგვიანეს მეორე სამუშაო დღისა, უნდა წარედგინოს სანებართვო მოწმობის ფორმების მიღებაზე და შემდგომ მის განაწილებაზე პასუხისმგებელ პირს, რომელსაც დაუყოვნებლივ შეაქვს მონაცემები სანებართვო მოწმობის აღრიცხვის ჟურნალში.

3. იმ შემთხვევაში, თუ ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული სანებართვო მოწმობის წარდგენის ვადა ემთხვევა არასამუშაო დღეს, სანებართვო მოწმობის წარდგენა უნდა მოხდეს მომდევნო სამუშაო დღეს.

მუხლი 5. გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის ჩამოწერა

1. სანებართვო მოწმობა გამოსაყენებლად უვარგისად ჩაითვლება:

ა) შევსების დროს დაშვებული შეცდომების გამო;

ბ) ფორმების ფიზიკური დაზიანების გამო.

2. გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობა ჩამოიწერება ჩამოწერის აქტის შესაბამისად.

3. გამოსაყენებლად უვარგისი სანებართვო მოწმობის უტილიზაცია ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.